ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება

Proceedings brought by "Roche Lietuva" UAB;C-413/17; ECLI:EU:C:2018:865.

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება C-413/17 ეხება **საჯარო შესყიდვებში ტექნიკური სპეციფიკაციების ფორმულირებასთან დაკავშირებით შემსყიდველი ორგანიზაციის დისკრეციის ზღვარს.** აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, **შემსყიდველი ორგანიზაცია მოქმედებს განსაზღვრული დისკრეციის ფარგლებში, როდესაც ადგენს ტექნიკურ სპეციფიკაციებს.** თუმცა, **შესყიდვის მიზნებიდან გამომდინარე, სპეციფიკაციების დეტალიზაცია უნდა იყოს ობიექტურად გამართლებული. აკრძალულია ისეთი სპეციფიკაციების დაწესება, რომლებიც გაუმართლებლად შეზღუდავს კონკურენციას და უპირატესობას მიანიჭებს კონკრეტულ მიმწოდებლებს.**

„26 ამ დირექტივის 42(3)-ე მუხლის თანახმად, **ტექნიკური სპეციფიკაციების ფორმულირება შესაძლებელია რამდენიმე მეთოდით**, შესრულების ან ფუნქციური მოთხოვნების თვალსაზრისით, ან ტექნიკურ სპეციფიკაციებზე და, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, იმ ეროვნულ სტანდარტებზე მითითებით, რომლებიც ახორციელებენ ევროპული სტანდარტების ტრანსპოზიციას, ან ევროპულ ტექნიკურ შეფასებებზე, საერთო ტექნიკურ სპეციფიკაციებზე, საერთაშორისო სტანდარტებსა და სტანდარტიზაციის ევროპული ორგანოების მიერ შექმნილ სხვა ტექნიკურ საცნობარო სისტემებზე, ან კიდევ, ნებისმიერი მათგანის არარსებობის შემთხვევაში, ეროვნულ სტანდარტებზე, ეროვნულ ტექნიკურ ნებართვებზე ან ეროვნულ ტექნიკურ სპეციფიკაციებზე მითითებით, რომლებიც ეხება სამუშაოების პროექტს, გამოთვლას, შესრულებას და მარაგების გამოყენებას, ან ორივე ამ მეთოდის კომბინაციით.“

„27 ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 42(3)-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ **ტექნიკური სპეციფიკაციები უნდა ჩამოყალიბდეს საკმარისად ზუსტი შესრულების ან ფუნქციური მოთხოვნების გათვალისწინებით ან ტექნიკურ სპეციფიკაციებსა და სხვადასხვა სტანდარტებზე მითითებით**, არ გამორიცხავს სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად განკუთვნილი სამედიცინო მასალების შესყიდვის პროცედურაში მასალების ინდივიდუალური საექსპლუატაციო და გამოყენებასთან დაკავშირებული მახასიათებლების სპეციფიკაციას.“

[...]

„29 გარდა ამისა, ამ დებულებიდან ჩანს, რომ **ტექნიკურ სპეციფიკაციებთან დაკავშირებული ევროკავშირის კანონმდებლობა შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ხელშეკრულების ტექნიკური სპეციფიკაციების ფორმულირებისას ფართო დისკრეციას ანიჭებს.“**

[...]

„31 **მიუხედავად ამისა, დირექტივა 2014/24 ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს, რომლებიც შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა დაიცვას.“**

„32 კერძოდ, დირექტივის 2014/24 42(2)-ე მუხლი მოითხოვს, რომ **ტექნიკური სპეციფიკაციები უზრუნველყოფდეს ეკონომიკური ოპერატორების თანაბარ წვდომას შესყიდვის პროცედურაზე და არ უქმნიდეს გაუმართლებელ დაბრკოლებას კონკურენციას საჯარო შესყიდვის პროცესში.“**

„33 ეს მოთხოვნა უზრუნველყოფს ტექნიკური სპეციფიკაციების შემუშავებისას ამ დირექტივის 18(1) მუხლის პირველ აბზაცში დადგენილი თანასწორი მოპყრობის პრინციპის განხორციელებას. ამ დებულების თანახმად, **შემსყიდველი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან, ეკონომიკურ ოპერატორებს თანასწორად და არადისკრიმინაციულად მოეპყრონ და გამჭვირვალედ და პროპორციულად იმოქმედონ.“**

[...]

„36 ანალოგიურად, დირექტივის 2014/24 პრეამბულის 74-ე პუნქტი განმარტავს, რომ **ტექნიკური სპეციფიკაციები „უნდა იყოს შემუშავებული ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონკურენციის ხელოვნურად შევიწროება ისეთი მოთხოვნებით, რომლებიც უპირატესობას მიანიჭებს კონკრეტულ ეკონომიკურ ოპერატორს ამ ეკონომიკური ოპერატორის მიერ ჩვეულებრივ შეთავაზებული მიწოდების, მომსახურების ან სამუშაოების ძირითადი მახასიათებლების ასახვით**“. ასევე, ამავე პრეამბულის თანახმად, **„უნდა არსებობდეს ისეთი ტენდერების ჩატარების შესაძლებლობა, რომლებიც ასახავს ტექნიკური გადაწყვეტის გზების სტანდარტებისა და ტექნიკური სპეციფიკაციების მრავალფეროვნებას ბაზარზე.“**

„37 ამ მოთხოვნების დაცვა მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც, როგორც წინამდებარე საქმეშია მოცემული, შესყიდვის დოკუმენტებში ჩამოთვლილი ტექნიკური სპეციფიკაციები განსაკუთრებით დეტალურად არის ჩამოყალიბებული. **რაც უფრო დეტალურია ტექნიკური სპეციფიკაციები, მით უფრო მაღალია კონკრეტული მწარმოებლის პროდუქციისათვის უპირატესობის მინიჭების რისკი.“**

„38 როგორც დირექტივის 2014/24 42(4)-ე მუხლიდან გამომდინარეობს, **გამონაკლის შემთხვევებში** და როდესაც დირექტივის 42(3)-ე მუხლით გათვალისწინებული საგნის საკმარისად ზუსტი და გასაგები აღწერა შეუძლებელია, **შესაძლებელია მითითება მოხდეს კონკრეტულ მწარმოებელზე ან წყაროზე, ან კონკრეტულ პროცესზე, რომელიც ახასიათებს კონკრეტული ეკონომიკური ოპერატორის მიერ მოწოდებული მომსახურების პროდუქტებს, ან სავაჭრო ნიშნებზე ან პატენტებზე იმგვარად, რომ ეს გამართლებული იყოს საგნით** და შეესაბამებოდეს დირექტივით 2014/24 დადგენილ პირობებს, კერძოდ, ასეთ მითითებას სახელშეკრულებო დოკუმენტებში თან უნდა ახლდეს დათქმა „ან ეკვივალენტური“. მიუხედავად ამისა, **ვინაიდან ეს დებულება წარმოადგენს გადახვევას, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების პირობები მკაცრად უნდა იქნეს განმარტებული.“**

[...]

„41 ასევე აუცილებელია, რომ ტექნიკური სპეციფიკაციების დეტალიზაციის დონე შეესაბამებოდეს პროპორციულობის პრინციპს, რაც, კერძოდ, გულისხმობს იმ საკითხის შესწავლას, აუცილებელია თუ არა დეტალიზაციის ეს დონე სასურველი მიზნების მისაღწევად.“

[...]

„45 ზემოაღნიშნული ყველა მოსაზრების გათვალისწინებით […] **დირექტივის 2014/24 მე-18 და 42-ე მუხლები უნდა განიმარტოს ისე, რომ** სამედიცინო მარაგების შესყიდვის პროცედურაში ტექნიკური სპეციფიკაციების დადგენისას, [...] **ტექნიკური სპეციფიკაციები, მთლიანობაში, უნდა შეესაბამებოდეს თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპებს. ეროვნული სასამართლოს მოვალეობაა შეაფასოს, შეესაბამება თუ არა მის წინაშე არსებულ დავაში განსახილველი ტექნიკური სპეციფიკაციები ამ მოთხოვნებს.**“

მოკლე მიმოხილვა:

აღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრეცედენტს, რომელიც განმარტავს, რომ დირექტივის 2014/24/EU შესაბამისად, **შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები საჯარო შესყიდვებში უნდა შეესაბამებოდეს თანასწორი მოპყრობისა და პროპორციულობის პრინციპებს და არ უნდა ქმნიდეს ხელოვნურ დაბრკოლებებს კონკურენციისთვის.** ეს განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთ სფეროში, როგორიცაა სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა, სადაც ტექნიკური მოთხოვნების გადაჭარბებულმა დეტალიზაციამ შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტული მწარმოებლისთვის გაუმართლებელი უპირატესობის მინიჭება.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XVI-B XVI-C XVI-H დანართები
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის დირექტივა 2014/24/EU „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 2004/18/EC“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2014/24/EU 42-ე მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 040090000.05.001.020812; 02/04/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2018 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება; Judgment of the Court (Ninth Chamber); C-413/17 - Roche Lietuva; ECLI:EU:C:2018:865*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.